პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 185 (4179)

1970 წ. 20 სექტემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ჩემპიონები

როგორც ცნობილია, ამას წინათ მინსკში დამთავრდა სსრ კავშირის მძლეოსანთა პირადი ჩემპიონატი.

სურათებზე: ზევით — ქვეყნის უძლიერესი სამხტომელი ვ. სანეევი (სოხუმი) ასპარეზობის დროს; ქვევით — 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულნი გ. ბუხარინა (მოსკოვი) და ა. კორნელიუკი (ბაქო).

ვ. უნ და-სინის ფოტო.



## უთანაბრო ბრძოლაში

როტერდამი, 19 სექტემბერი. გუშინ აქ გაიმართა კალათბურთელ ქალთა ევროპული ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები.

სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე იყო წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — იუგოსლავიის გუნდი. ის, ვინც ძველი მეტოქეების მძაფრ და შეუპოვარ ბრძოლას ელოდა, მწარედ გაწბილდა: მოედანზე ბრძოლა ფაქტიურად არც გაჩაღებულა.

საბჭოთა კალათბურთელების ძირითადმა ხუთეულმა მთელი საქმე შესვენებამდე მოათავა — 34-ქულიან სხვაობას (64:30) მიაღწია.

საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა შესვენების შემდეგაც საგრძნობი იყო. მეორე შემადგენლობამ ტაიმი 33 ქულით მოიგო (52:19) და ამით წერტილი დაუსვა ამ უთანაბრო ნახევარფინალურ ბრძოლას. საბოლოო ჯამში ევროპის ცხრაგზის ჩემპიონმა გაიმარჯვა — 116:49. ასეთი იშვიათი უპირატესობა გადამწყვეტი მატჩის წინ სსრ კავშირის ნაკრებს არც ერთ წინა ჩემპიონატში არ ჰქონია.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და საფრანგეთის გუნდები.

სურათზე: 24 წლის რიგელი ძალოსანი გ. ივანჩენკო (საშუალო წონა), რომელმაც კოლუმბუსში მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა და ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა სამჭიდში — 505 კგ.

ა. ბრაზაიტისის ფოტო (საკდეს).



## ვისთვის არის ეს ხელსაყრელი?

ვარშავა, 18 სექტემბერი. პოლონეთის პრესა ფართო ადგილს უთმობს ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის (კოლუმბუსი) ორგანიზატორთა მაქინაციებს, რის წყალობითაც ბევრ სპორტსმენს მიეცა დისკვალიფიკაცია (უმეტესად სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს). მათ ბრალად ედებათ დოპინგის გამოყენება.

გაზეთი „გლოს პრაცი“ აღნიშნავს, რომ ამ საქმეში განსაკუთრებით უსიამოვნო როლს ასრულებს საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი, ინგლისელი ო. სტეიტი. „ეს მოღვაწე, — წერს გაზეთი, — შორეულ გეგმებს აწყობს და სპორტული მოძრაობის დაშლას ისახავს მიზნად. სტეიტმა კოლუმბუსში პარტნიორებიც იშოვნა პროვოკაციის მოწყობისთვის. მათ მიაჩნიათ, რომ, თუ სპორტულ ბრძოლაში ვერ მოხერხდა წარმატებისა და სახელის მოპოვება, ეს სხვა გზითაც კარგად შეიძლება“.

„ჟონეშ ვოლნოსტი“ აღნიშნავს, რომ სწორედ სტეიტის მონაწილეობით გაკეთდა სინჯების ანალიზი, სადაც ბევრი უზუსტობა იყო დაშვებული. გაზეთი წერს, რომ სტეიტის მუშაობა ფედერაციაში საზიანოა როგორც ძალოსნობისთვის, ისე საზოგადოდ სპორტისთვის. „ჟონეშ ვოლნოსტის“ აზრით, ფედერაციის გენერალური მდივანი შემთხვევითი პირია სპორტულ მოძრაობაში.

სტოკჰოლმი, 18 სექტემბერი. შვეციის პრესა დაწვრილებით აცნობს მკითხველებს კოლუმბუსის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობას. ნათქვამია ისიც, რომ რამდენიმე სპორტსმენს საპრიზო ადგილი ჩამოერთვა, მაგრამ შვედი რეპორტიორები და სპეციალისტები თავს იკავებენ კომენტარებისგან ამ საკითხში. ეს მოწმობს, რომ შეჯიბრების ორგანიზატორთა ობიექტურობაში არც ისინი არიან დარწმუნებული.

**საკდესი გვატყობინებს**

**საკდესი მოგვითხრობს**

## ჩვენი ქვეყნის ოთხკუთხედში

### მონადირეთა უჩვეულო პრიზი

ვლადივოსტოკი, 18 სექტემბერი. წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის მონადირეთა კლუბის მსროლელთა გუნდმა დაისაკუთრა ორიგინალური სპორტული ჯილდო — უსურიის ტაიგის ბინადრის ლიზიუბრის რქები. ეს უჩვეულო პრიზი მესტენდურეთა აქ გამართულ შეჯიბრებაში გათამაშდა.

სარბიელზე გამოვიდა მხარის 32 ყველაზე ზუსტი მსროლელი, მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა შეჯიბრების ერთ-ერთმა ახალგაზრდა მონაწილემ ვ. სამოილოვმა — სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის. პროგრამის დანარჩენ სახეობებში თავი გამოიჩინეს სპორტის ოსტატებმა ნ. კირეევმა, ვ. პოტანინმა, ვ. ივანკინმა, პირველთანრიგოსანმა პ. კორშუნოვმა.

მონაწილენი იბრძოდნენ ახალ სეზონში ნადირობის უფლების მოპოვებისთვისაც. შეჯიბრების ჩემპიონებს საპატიო სიგელებთან ერთად გადაეცათ გარეულ ღორზე და შველზე ნადირობის ნებართვა.

### „პინგვინის“ ეკიპაჟი კაპიტანთა კლუბში

შორეული ცურვის კაპიტანი ა. იანცელევიჩი და რადიოინჟინერი ვ. კნიაზკოვი, რომლებმაც ნორილსკიდან ტიქსიმდე უჩვეულოდ რთული მოგზაურობა მოაწყვეს შვერტბოტ „პინგვინით“, მოსკოველებს შეხვდნენ კაპიტანთა კლუბში.

ეს კლუბი მოსკოვში შექმნეს საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ცენტრალურმა ლექტორიუმმა და გაზეთ „ვოდნი ტრანსპორტის“ რედაქციამ. მესამე წელია აქ იყრიან თავს ცნობილი საბჭოთა ზღვაოსნები. მაგალითად, შორეული ცურვის კაპიტანმა ა. კურბანოვსკიმ აქ მოსკოველებს უამბო თბომავალ „ჩერნიახოვსკის“ ეკიპაჟის გმირობაზე, რომელმაც ერთი რეისის მანძილზე ორ უცხოურ გემზე ჩააქრო ხანძარი; ექიმმა ი. ხენკევიჩმა შეკრებილთ გაუზიარა შთაბეჭდილებები ტურ ჰეიერდალთან ერთად მოგზაურობის შესახებ.

ბევრი ჰქონდა სათქმელი „პინგვინის“ ეკიპაჟსაც, რომელმაც სამი სპორტსაზოგადოების — „ვოდნიკის“, „სპარტაკისა“ და „ტრუდის“ სახელით გადალახა ტაიმირის ნახევარკუნძულის მდინარეები და ტბები, შემდეგ ლაპტევების ზღვა გაიარა და ტიქსიმდე მივიდა. საინტერესოა, რომ თავის გულშემატკივრებს შეხვდა ამ გადასვლის მესამე მონაწილე, ნორილსკელი მჭედელი ვ. სმეტანკინიც. შეხვედრა მოაწყო ნორილსკის ტელესტუდიამ.

ვ. ზინკარენკო.

### დაღუპულ მეომართა პატივსაცემად

ფეოდოსიის ტურისტული კლუბის „ყარა-დაღის“ სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს უკრაინაში ყველაზე ღრმა მღვიმე, რომლის სიღრმეც 281 მეტრია, ხოლო მთავარი გასასვლელის სიგრძე — 774 მ.

როგორც გაზეთი „პრავდა უკრაინი“ წერს, გიზ-გელის ტბების ახლოს, ქვების გროვაში, მიწისქვეშა ექსპედიციის წევრებმა ჩასასვლელი შენიშნეს. მთავარმა გზამ ისინი მიწისქვეშა მდინარის ამომშრალ კალაპოტამდე მიიყვანა. აქ სპელეოლოგების თვალწინ გადაიშალა ჭეშმარიტად ზღაპრული სურათი: ქვის ფარდები, გაყინული ჩანჩქერები, სტალაქტიტები... უდიდესი მხატვრის — ბუნების ხელით შექმნილი მიწისქვეშა არქიტექტურის ეს ნიმუში მნახველს უჩვეულო ელვარებითა და სილამაზით ჰრის თვალს.

სპელეოლოგებმა მღვიმეს ყირიმის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დაცემულ მეომართა პატივსაცემად „სოლდატსკაია“ უწოდეს.

(გაზეთი „ტრუდი“).

**ჯერ გაზეთი ჩასაწყობად არ იყო... $19^{45}$**

◆ კოლუმბუსი, 19 სექტემბერი. ძალოსანთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია 25 წლის ურალელმა ათლეტმა ვ. კოლოტოვმა (ქვემძიმე წონა): მან ოქროს მედალიც მოიხვეჭა და თავისივე მსოფლიო რეკორდი 5 კგ-ით დაამძიმა — სამჭიდში 537,5 კგ (175+160+202,5) დააგროვა. „გზად“ საბჭოთა გოლიათმა მსოფლიო რეკორდები დაამყარა ატაცსა (161,5 კგ) და აკვრაშიც (202,5 კგ). ოქროს დიდი მედლის გარდა მან კიდევ 3 „პატარა ოქრო“ დაისაკუთრა სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში საუკეთესო შედეგებისთვის. II ადგილზეა ამერიკელი ფ. გრიპალდი, რომელიც გამარჯვებულს მთელი 47,5 კგ-ით ჩამორჩა. III ადგილზე ასეთივე შედეგით (490 კგ) გავიდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გ. ტოტი (უნგრეთი). უხეიროდ გამოვიდა ვოროშილოვგრადელი ა. კიდიაევი — მან სამჯერ ვერ შეძლო 170 კგ-ის აჭიმვა და ბრძოლას გამოეთიშა. უნდა აღინიშნოს, რომ ტრავმის გამო კოლუმბუსში საასპარეზოდ ვერ ჩამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი კ. კანგასნიემი (ფინეთი).

◆ ანკარა, 19 სექტემბერი. მოსკოველმა რაპირისტმა გ. გოროხოვამ ხუთი წლის შემდეგ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ვერცხლის მედალი ერგო შარშანდელ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულს, ოლიმპიურ ჩემპიონს, მინსკელ ე. ნოვიკოვა-ბელოვას, ხოლო ბრინჯაო — რუმინელ ო. საბოს. ფინალში მოსკოველმა დიდი შთაგონებით იასპარეზა — ხუთიდან 4 ბრძოლა მოიგო. მას მხოლოდ ბელოვამ სძლია, რომლის ანგარიშზეც 3 გამარჯვებაა. საპომ ორ ორთაბრძოლაში იმარჯვა.

◆ სოფია, 19 სექტემბერი. ჰოლანდიისა და ფინეთის ფრენბურთელმა ვაჟებმა საკვალიფიკაციო ტურნირში წარმატების წყალობით მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს. ფინელები პირველ ჯგუფში (იამბოლი) ითამაშებენ, ხოლო ჰოლანდიელები — მესამეში (ხასკოვი). ქალთა შორის ასეთივე შეჯიბრებაში ყველას აჯობეს რუმინეთისა და კუბის წარმომადგენლებმა.

## ჯერ კიდევ ცხელი ამბები

## ახალი ამბები

● ანკარა, 18 სექტემბერი. სამი საბჭოთა რაპირისტი ქალი — მოსკოველი გ. გოროხოვა, მინსკელი ე. ბელოვა და 16 წლის ვ. მუროჩკინა (მოსკოვი) მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ. აი, ნახევარფინალის სხვა მონაწილენიც: ი. დრიმბა, ო. საბო, კ. სტალ-ენჩაკი (ყველა — რუმინეთი), ჯ. ლორენცონი, ჯ. მაშიოტა (ორივე — იტალია), ბ. გაპე, კ. სერეტი (ორივე — საფრანგეთი), ი. რეიტო (უნგრეთი) და კ. ურბანსკა (პოლონეთი).

● სტოკჰოლმი, 18 სექტემბერი. მოსკოვის ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩშიც დაამარცხა შვედური კლუბი „ლექსანდი“, ამჯერად, ანგარიშით 6:1.

● ბრიუსელი, 18 სექტემბერი. დღეს აქ დაიწყო ევროპის I ჩემპიონატი ბალახზე ჰოკეიში. სსრ კავშირის ნაკრებმა მარცხის სიმწარე იწვნია ინგლისელებთან შეხვედრაში — 1:3 (0:2). ბელგიის გუნდმა მოუგო ფინეთის ნაკრებს (1:0), ჰოლანდიელებმა სძლიეს ავსტრიელებს (2:0), ხოლო შვედებმა — შოტლანდიელებს (1:0).

## ახალი ამბები

# ნებისყოფით და შრომის სიყვარულით



ბათუმელ ვიქტორ კრასკოს წლევანდლამდე კარგად რესპუბლიკის ცურვის სპეციალისტთა ვიწრო წრეშიც არ იცნობდნენ, ახლა კი იგი სსრ კავშირის რეკორდსმენია ჭაბუკთა შორის 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში..

ვიქტორი ორ წელზე ცოტა მეტია, რაც ცურვაში ვარჯიშობს. 1969 წელს იგი უკვე პირველთანრიგოსანი იყო, მაგრამ საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის სიაში არ შესულა. წლეულს თებერვალში ვიქტორი სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა, ხოლო მარტში უკვე საქართველოს რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. გაზაფხულის მიწურულს კრასკო უკვე სპორტის ოსტატი იყო.

საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ქუთაისში გაიმართა ივლისში, ვიქტორმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ მან სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში და ამ წარმატებამ ქვეყნის ჩემპიონატის საგზური მოუტანა.

ზუსტად ერთი თვის თავზე, ლვოვის ასკ-ს საცურაო აუზში, სსრ კავშირის ჩემპიონატში საქართველოდან ჩასულმა 16 წლის ჭაბუკმა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

მოსკოვი, 20 აგვისტო. ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში სსრ კავშირის უძლიერესი მოცურავეები ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატის საგზურებს ეცილებიან. ვიქტორი აქაც II ადგილზე გავიდა და პირველად მოიპოვა „საერთაშორისო წყლებში" გასვლის უფლება.

ბარსელონა, 6-12 სექტემბერი. „ბერნარდო პიკორნელის" აუზში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში. ვიქტორმა 100 მეტრზე გულაღმა წინასწარ გაცურვაში საქართველოს ახალი რეკორდი (1.01,7) დაამყარა. ამით მან ფინალში და 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ესტაფეტაში ვიქტორმა თავისი ეტაპი მესამემ დაამთავრა საქართველოს ახალი რეკორდით — 1.01,5. საბოლოოდ მან მოსკოველ ნ. პანკინთან, სოჭელ ვ. ნემშილოვთან და მოსკოველ ლ. ილიჩოვთან ერთად III საპრიზო ადგილი (3.58,0) დაიკავა. შემდეგ იგი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში VI ადგილზე გავიდა და თავისივე საკავშირო რეკორდს, ჭაბუკთა შორის (2.14,5) 0,7 წამი ჩამოაჭრა.

ვიქტორი არაფრით განსხვავდება თავისი თანატოლი კოლეგებისგან. სიმაღლით იგი 178 სანტიმეტრია, წონით — 65 კგ. თავისუფალ დროს უყვარს კითხვა, საესტრადო მუსიკის მოსმენა, კინოში სიარული.

— როგორ მიაღწიეთ ასეთ დიდ წარმატებას ამ მოკლე დროში? — ვკითხე ბარსელონიდან დაბრუნებულ ვიქტორს.

— არ ვიცი, — მიპასუხა მან. — ჩემი მწვრთნელი სვეტლანა შაგოვა მეტყვის, გაცურეო და მეც ვცურავ. ისე კი, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ძალიან მიყვარდა მძლეოსნობა. შემდეგ ვარჯიში დავიწყე კრივში, ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშში... ერთი სიტყვით, სპორტის ბევრ სახეობაში ვცადე ძალა. ცურვაში ორ თვეში მესამე თანრიგი მოვიპოვე. სხვადასხვა სახეობაში ვარჯიში ძალიან გამომადგა საერთო ფიზიკური მომზადებისთვის.

ვიქტორის ნათქვამს დავუმატებ მისი მწვრთნელის სიტყვებს: „ვიქტორი ვუნდერკინდი როდია. მას დიდი ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა და დისციპლინა ახასიათებს. ეს არის წარმატების მთავარი საწინდარი".

და ბოლოს, ვიქტორს ვთხოვეთ პასუხი გაეცა ტრადიციულ შეკითხვაზე:

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

პირველ ყოვლისა, ძალიან მინდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდე. ცურვაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს 100 მეტრზე 1,5, ხოლო 200 მეტრზე 1,8 წამი მაშორებს. ვეცდები 200 მეტრზე ეს ნორმატივი ოქტომბრის ბოლოს შევასრულო, როცა ირანელ კოლეგებს გავუმართავთ სამატჩო შეხვედრას ჯერ თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ვ. კრასკო შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტო.

## ყველასთვის და თითოეულისთვის

### სსრ კავშირში ფიზიკური კულტურა მშრომელთა გაჯანმრთელების ერთ-ერთი საშუალება

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზეა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მხრივ. სსრ კავშირში ადამიანები უფრო ინარჩუნებენ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, შემოქმედებითი და შრომითი საქმიანობის უნარს, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. სიბერე თანდათან უკან იხევს და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. ეს ცხადყოფს სოციალისტური საზოგადოების წინსვლას, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომის დაცვისა და ფიზიკური კულტურის დარგებში.

ხალხის ფიზიკურად გაკაჟებაში დიდია ფიზიკური კულტურის როლი. ამიტომ ფიზკულტურა საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ განვითარდა, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი ყოველ ახალ დღეს დილის ფიზვარჯიშით იწყებს და აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია სამუშაო ადგილზე ყოველდღიური ტანვარჯიშული პაუზის შესრულება. ყოველივე ეს ხელს უწყობს დაღლილობის თავიდან აცილებას. სტადიონებსა და სპორტულ დარბაზებში ვარჯიშობენ არა მარტო ჭაბუკები და გოგონები, არამედ ხანდაზმული ადამიანებიც. ტრადიციად იქცა „ჯანმრთელობის სპარტაკიადები", რომელთა მიზანია სათხილამურო თუ საწყლოსნო ბილიკებზე საასპარეზოდ მიიზიდონ მშრომელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა — ახალგაზრდებიცა და ხანში შესულნიც. ასეთი სპარტაკიადები რაც დრო გადის მით უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭენ. ამ შეჯიბრებებში ათასობით ადამიანი მონაწილეობს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი სიყვარულს სსრ კავშირში ადამიანს ბავშვობიდანვე უნერგავენ. სკოლებში ფიზაღზრდის სავალდებულო გაკვეთილებს ავსებს კლასგარეშე მეცადინეობები სპორტში, ტურიზმში, თამაშობებში, ბავშვთა რეგულარული მონაწილეობა სასკოლო, ეზოს, რაიონულ და სხვა შეჯიბრებებში. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა აღვზარდოთ ფიზიკურად ძლიერი თაობა, ავამაღლოთ ხალხის საერთო ფიზიკური კულტურა.

სტატისტიკური მონაცემებით, სსრ კავშირში ამჟამად 40 მილიონზე მეტი ფიზკულტურელია. ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენში გახდა მთავარი სოციალური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ წარმოებაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, განათლებაზე, პიროვნების ყოველმხრივ ფორმირებაზე. როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის საწარმოებში ჩატარებული გამოკვლევები მოწმობენ, იმ ადამიანს, რომელიც სპორტს მისდევს, შრომისუნარიანობა რამდენიმე პროცენტით მაღალი აქვს, ვიდრე, მას, ვინც ფიზკულტურას არ ეტანება.

სსრ კავშირში ტრადიციად იქცა ახალი ქალაქების შენება მეცნიერულად დამუშავებული გეგმით. აქ გათვალისწინებულია შრომის, დასვენების, სპორტში მეცადინეობის მატერიალური ბაზების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ფიზკულტურული მოძრაობისადმი მოფიქრებული ხელმძღვანელობა. მენავთობეთა ქალაქ სალავათში მაგალითად, პროფკავშირული, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოსახლეობის ნახევარი რეგულარულად მეცადინეობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. აქ შენდება ბევრი სპორტული მოედანი, იქმნება ახალი სექციები, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები.

საინტერესოდ ცხოვრობენ სოფლების ფიზკულტურული კოლექტივები. მაგალითად, ვოლინსკის (უკრაინის სსრ) ოლქის როჟიშჩენსკის რაიონის კოლმეურნეობა „როსია" ყოველწლიურად ათასობით მანეთს ხარჯავს სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის შესაძენად. აგებულია სტადიონი, რომელსაც აქვს ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკები, სათამაშო მოედნები. კოლმეურნეობის ექსივე კომპლექსურ ბრიგადაში მოწყობილია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. სოფლებს აქვს საკუთარი საფეხბურთო მინდვრები, სადაც ტარდება შეჯიბრებები სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების პროგრამით. კოლმეურნეობის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველმხრივ ხელს უწყობენ სპორტის დანერგვას ახალგაზრდობაში — ამ საქმეს აღზრდის მთავარ საშუალებად მიიჩნევენ.

ხშირად თვით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები გამოდიან სპორტული მუშაობის ორგანიზატორთა როლში. ვოროშილოვგრადის ოლქის კოლმეურნეობების „აიდარისა" და „ზარიას" თავმჯდომარეები ყველაზე კარგი სპორტსმენები არიან. მათ დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, სადაც სტუდენტთა გუნდებში გამოდიოდნენ, ახლა კი შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებში მონაწილეობენ და საზოგადოებრივი მწვრთნელებიც არიან. ბევრი მეურნეობა თავისი დანაზოგი სახსრებით აგებს კეთილმოწყობილ სპორტბაზებს, ახალგაზრდობას შორის ატარებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას.

ფიზკულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება, რასაც მასობრიობა ეწოდება, არის საფუძველი, რომელიც უმაღლეს სპორტულ ოსტატობას წარმოშობს. საბჭოთა ათლეტები, რომლებიც სარეკორდო სიმაღლეებს უტევენ, ამტკიცებენ, რომ ადამიანის ფიზიკურ სრულყოფას საზღვარი არა აქვს. ამის დასადასტურებლად მოვიგონოთ მძიმეწონოსანი ვ. ალექსეევის ამასწინანდელი მსოფლიო მიღწევები. მან ხომ ევროპის ჩემპიონობა მოიხვეჭა უჩვეულოდ მაღალი შედეგებით — სამჭიდში 612,5 კგ დააგროვა.

სსრ კავშირში ბევრი ჩემპიონი და რეკორდსმენია. ჩვენში ისინი დიდი პატივისცემით სარგებლობენ. საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტის პოზიციები ავტორიტეტული და მყარია. 1966-69 წლებში სსრ კავშირის სპორტსმენებმა 143-ჯერ მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, იმდენჯერ, რამდენჯერაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (50), დასავლეთ გერმანიამ (38), იაპონიამ (30), ნორვეგიამ (17) და შვეციამ (8) ერთად.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ფიზიკური სრულყოფის მყარი მატერიალური ბაზა. ჩვენში არის 1500-ადგილიანი 2895 სტადიონი, 4200 ტანვარჯიშული დარბაზი, 1231 საწყლოსნო აუზი, 90 ათასამდე ფეხბურთის მინდორი.

სულ უფრო მეტად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სპორტულ ინვენტარსა და აღჭურვილობაზე, რომლის წარმოებაც ყოველწლიურად 15—18 პროცენტით მატულობს. სსრ კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მუშაობს 217 ათასი შტატიანი სპეციალისტი. მათგან 150 ათასზე მეტს ფიზკულტურული განათლება აქვს. სპორტულ ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს, მწვრთნელებს ამზადებს ფიზკულტურის 18 ინსტიტუტი, პედაგოგიურ ინსტიტუტებთან და სპეციალურ ტექნიკუმებთან არსებული ათობით ფაკულტეტი. ამას გარდა ჩვენში ოთხი ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტია.

ამჟამად ჩვენში სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადა მიმდინარეობს. იგი გაგრძელდება გაისის აგვისტომდე, როცა მოსკოვში შეიკრიბებიან სპარტაკიადის წინასწარ და მასობრივ ეტაპებში გამარჯვებული ათლეტები. მთავარი ძალები ბრძოლაში ჯერ კიდევ არ ჩაბმულან, მაგრამ უკვე მაღალი შედეგებია ნაჩვენები. ვილნიუსის საქალაქო სპარტაკიადაში, მაგალითად, თავი გამოიჩინა ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტმა პ. შაპკამ, რომელმაც 212 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა. ცოტახნის წინათ ამ შედეგით ოლიმპიური თამაშების პრიზიორის სახელის მოხვეჭა შეიძლებოდა.

წლევანდელ სეზონში დიდ ასპარეზობას აწყობენ სოფლის სპორტსმენები. ეს არის სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშები, რომელიც, აგრეთვე, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. სსრ კავშირის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ყაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების ქალთა სპარტაკიადები. ეს შეჯიბრებები ტრადიციად იქცა და დიდ როლს თამაშობენ ამ მოკავშირე რესპუბლიკების ფიზიკური კულტურის განვითარებაში.

სსრ კავშირის სპორტსმენთა გამარჯვებები საერთაშორისო სარბიელზე იყო მიზეზი, რომ საბჭოთა სპორტს ყურადღება მიაქცია უცხოეთის ქვეყნების ბევრმა სპეციალისტმა. საბჭოთა ფიზკულტურული ორგანიზაციები სიამოვნებით გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას საზღვარგარეთელ კოლეგებს, ცდილობენ განამტკიცონ მათთან მეგობრული კავშირი, გაუწიონ დახმარება და ამით ხელი შეუწყონ საერთაშორისო სპორტული მოძრაობის დემოკრატიზაციისთვის ბრძოლის საქმეს.

საბჭოთა მწვრთნელები და სპეციალისტები ყოველწლიურად მიემგზავრებიან სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებში, რათა დაეხმარონ იქაურ კოლეგებს ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციაში, მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადებაში. ამჟამად 60-მდე საბჭოთა სპეციალისტი მუშაობს ევროპისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 14 ქვეყანაში. ფართოვდება საბჭოთა ათლეტების მეგობრული კავშირი სხვა ქვეყნების მუშათა სპორტულ კავშირებთან, მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან. ყოველივე ეს ხელს უწყობს ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესებას, დედამიწაზე მშვიდობის საქმის განმტკიცებას. სპორტი აერთიანებს ადამიანებს. იგი ძალის, სიმხნევის, შრომისუნარიანობის ამაღლების, სიცოცხლის გახანგრძლივების, ახალი ადამიანის ჰარმონიულად და სულიერად აღზრდის მძლავრი წყაროა.

ზ. ელისეევი,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

## ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს

სოხუმის „სპარტაკის" სპორტულ დარბაზში გაიმართა აფხაზეთის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრება შესარჩევი იყო რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობის წინ, რომელიც სულ მალე ჩატარდება აფხაზეთის დედაქალაქში.

ორდღიანი მწვავე ბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ: დ. ქაშიბაძე („ლოკომოტივი"), ა. ბოგაჩოვი („განთიადი"), ნ. ღვინჯილია („დინამო"), ა. კოსტიუკოვი, მ. ლაბარტყავა (ორივე — „ლოკომოტივი"), მ. ლობჟანიძე („სპარტაკი"), ი. ბუბაშვილი („ლოკომოტივი"), ვ. მარშანია („განთიადი"), რ. ხუტაბა („ბურევესტნიკი"), დ. ბაღათელია („დინამო").

მაყურებლების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ახალგაზრდა მოჭიდავეებმა ღვინჯილიამ, ლაბარტყავამ და ხუტაბამ, რომლებმაც მაღალი ოსტატობა და კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს.

ზ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

## თავისუფალი ტრიბუნა

### წერილი რედაქციას

## ბილიარდი უნდა გაჯანსაღდეს!

ჩემი გულისტკივილი პირდაპირ უნდა მოგახსენოთ. ალბათ ყველამ კარგად იცით, რა არის ბილიარდი; მაგრამ სპორტისა და კერძოდ ამ შესანიშნავი თამაშის თაყვანისმცემლებს შესაძლოა წარმოდგენა არცა აქვთ, თუ რა მახინჯ ფორმებს იღებს ამ თამაშით გატაცება ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში. რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში ბილიარდის მაგიდის გარშემო შეკრებილი არიან უსაქმო და საეჭვო რეპუტაციის ადამიანები, რომლებიც მთელი დღის მანძილზე ფულზე თამაშით არიან დაკავებული.

ამ სიტყვების შემოწმება იოლი საქმეა. მიდით საბილიარდოებში, ნახეთ, ვინ იყრის იქ თავს, ვინ განაგებს ამ ვითომცდა გასართობ დაწესებულებებს და დარწმუნდებით, რომ ახალგაზრდა იქ კარგს ვერაფერს ისწავლის. საბილიარდო, ვიმეორებ, დღეს უსაქმურებისა და გაურკვეველი პროფესიის პირთა თავშესაყარია. რა თქმა უნდა, ეს მტკიცება რესპუბლიკის ყველა საბილიარდოზე არ ვრცელდება, მაგრამ მეტწილად ასეა.

წინათ ბილიარდი დასვენების ერთ-ერთი საშუალება იყო, იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, ჩემპიონატები, საქალაქთაშორისო შეხვედრები. ერთი სიტყვით, ბილიარდს გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა მშრომელთათვის. ახლა კი ამ თამაშით გატაცებამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ ძალაუნებურად იბადება კითხვა: ხომ არ სჯობს საბილიარდოების დახურვა?

ყოველ შემთხვევაში, რაღაც ორგანიზებული ზედამხედველობა, კონტროლი ამ გასართობ დაწესებულებებზე უნდა დაწესდეს.

კიდევ ერთი: დღევანდელი საბილიარდოები ანტისანიტარიის თავისებური ბუდეა (ჭუჭყი, პაპიროსის კვამლი და სხვ.), რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ი. ბაკურაძე,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ჭიათურა.




## სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი

18 სექტემბერს მინსკში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის.

პირველ ტაიმში თამაში მიმდინარეობდა ნელ ტემპში, უინტერესო პოზიციურ ბრძოლაში. შესვენების შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ მასპინძლები. ერთ-ერთი მათი იერიში 70-ე წუთზე გოლით დაამთავრა სახაროვმა. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 1:0.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა გამოტოვებული მატჩები.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 3:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

● „ცისკარი" (სიღნაღი)—„მზიური" (გალი) 4:2. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი)— „ისანი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (ხაშური).

● „იმერეთი" (თერჯოლა) — „სინათლე" (თბილისი) 1:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

● „სამცხე" (აწყური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 32 | 21 | 7 | 4 | 67—38 | 49 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 32 | 18 | 7 | 7 | 70—33 | 43 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 32 | 15 | 12 | 5 | 55—27 | 42 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 32 | 16 | 10 | 6 | 49—28 | 42 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 30 | 15 | 10 | 5 | 52—27 | 40 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 29 | 16 | 7 | 6 | 49—27 | 39 |
| „სინათლე" (თბილისი) | 31 | 14 | 9 | 8 | 51—32 | 37 |
| „ისანი" (თბილისი) | 31 | 11 | 14 | 6 | 33—26 | 36 |
| „სამცხე" (აწყური) | 32 | 11 | 14 | 7 | 32—30 | 36 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 34 | 11 | 12 | 11 | 47—47 | 34 |
| „მზიური" (გალი) | 31 | 9 | 15 | 7 | 35—32 | 33 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 33 | 13 | 7 | 13 | 43—54 | 33 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 33 | 9 | 12 | 12 | 32—36 | 30 |
| ასკ (თბილისი) | 30 | 11 | 6 | 13 | 36—41 | 28 |
| „ბიზანტი" (ლაითური) | 31 | 8 | 12 | 11 | 33—46 | 28 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 32 | 7 | 11 | 14 | 22—36 | 25 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 31 | 6 | 12 | 13 | 22—38 | 24 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 30 | 6 | 11 | 13 | 32—34 | 23 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 32 | 5 | 13 | 14 | 34—60 | 23 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 32 | 4 | 9 | 19 | 36—68 | 17 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 31 | 5 | 6 | 20 | 28—54 | 16 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 33 | 4 | 8 | 21 | 36—80 | 16 |

## დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები

ზიგენი, 19 სექტემბერი. XIX საჭადრაკო ოლიმპიადის III ტურში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, შეწყდა მაშინ, როცა ანგარიში იყო 1:1. ყაიმით დამთავრდა სმისლოვ—მატულოვიჩისა და გელერ—პარმას პარტიები. გუშინ დილით ბრძოლა განახლდა ორ გადადებულ — პეტროსიან — გლიგორიჩისა და კორჩნოი — ივკოვის პარტიებში. საბჭოთა მოჭადრაკეების უპირატესობა უმნიშვნელო აღმოჩნდა და შეხვედრები ყაიმით დასრულდა. ამრიგად, მატჩი დამთავრდა ყაიმით — 2:2.

IV ტურში საბჭოთა დიდოსტატები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის გუნდს. ყაიმით დამთავრდა გუნდების ლიდერების — პეტროსიანისა და ჰორტის შეხვედრა. კარგად ითამაშეს კორჩნოიმ და პოლუგაევსკიმ, რომლებმაც შესაბამისად სძლიეს ფილიპსა და სმეიკალს. ჩეხოსლოვაკიელმა საერთაშორისო ოსტატმა იანსამ მოუგო გელერს. ორთაბრძოლის ანგარიშია 2,5:1,5 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

4 ტურის შემდეგ 10 ქულით დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები.





მ. ნაიდორფი (არგენტინა)

მეგობრული შარჟი იუგოსლავიის გაზეთიდან.

## ცისფერი ბილიკის ოსტატს

ცნობილმა თბილისელმა ეტიუდისტებმა—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელმა ვ. კალანდაძემ და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის პირველკურსელმა დ. გურგენიძემ შეთხზეს ეს საინტერესო ეტიუდი.

ნაწარმოები ავტორებმა უძღვნეს სახელოვან ქართველ მოცურავეს, ევროპის ჩემპიონსა და რეკორდსმენს თინათინ ლეკვეიშვილს.



თეთრები ყაიმს აღწევენ.

ეტიუდი ბუნებრივი, სადა და მინიატურული ფორმისაა. მძაფრი ბრძოლა პოზიციური ყაიმით მთავრდება.

### ჩხოროწყუ

აქ დამთავრდა რაიონის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ქართული და თავისუფალი ჭიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი და მძლეოსნობა. ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური I ადგილები დაიკავეს სოფელ მუხურის წარმომადგენლებმა. ფრენბურთში ყველას აჯობა ზუმის სასოფლო საბჭოს ნაკრებმა. კალათბურთელთა და მძლეოსანთა გუნდური შეჯიბრებები მოიგეს კირცხელებმა.

ს. ჯალაღონია.

## წარსულის ფურცლები

### სიტყვაზე დაიჭირეს

თბილისის საჭადრაკო კლუბში გამართულ ერთ-ერთ ტურნირში არჩილ ებრალიძეს შესანიშნავად წარუმართავს იერიში და ლამაზად მოუგია პარტია. ხავსე დარბაზს დიდი კმაყოფილება ტაშით გამოუხატავს.

— ეს ჩემი მოწაფეა, — ამაყად უთქვამს გამოჩენილ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს.

იქვე მყოფმა მეგობრებმა იაკობს გაოცებით შეხედეს თურმე, ეს რა თქვაო. მერე სიცილი დაუწყიათ. შეწუხდა იაკობი, მიხვდა, რომ ვერ გაუგეს:

— არჩილი ჩემი მოწაფეა ქანდაკებაში და არა ჭადრაკში.

მეგობრებმა ეს, რა თქმა უნდა, იცოდნენ, მაგრამ მაინც ხუმრობით შეახსენებდნენ ხოლმე იაკობს: როგორ იყო არჩილი შენს მოწაფედ რომ გამოაცხადეო?

### ქიაჩელის „ფსიქოლოგიური სტილი"

ამბობენ, მწერალი ლეო ქიაჩელი ჭადრაკს „ფსიქოლოგიურ სტილში" თამაშობდა: ბრძოლის დროს ოხუნჯობდა, კომენტარს უკეთებდა როგორც თავის, ისე მეტოქის სვლებს.

როცა რაიმე „მუხანათურს" ჩაიფიქრებდა, ლეო ქიაჩელი, სევდიან სახეს მიიღებდა და იტყოდა: „აი, ახლა ვიღუპები". მისი მეგობარი კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე, რომელიც მხოლოდ თამაშის ცქერით კმაყოფილდებოდა, დარბაისლურად დაუმატებდა: „ახლა ხარ ცოდვა, ჩემო ლეო", და ხშირად მეტოქე, რომელმაც არ იცოდა ორი მეგობრის მზაკვრობა, მართლაც მახეში ებმებოდა. გამარჯვებას სიხარული და სიცილი მოჰყვებოდა ხოლმე.

### ხერხი სჯობია...

1950 წელს დიდოსტატი დ. ბრონშტეინი თბილისში ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებდა. ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ სეანსში დიდოსტატს სახალხო არტისტმა პიერ კობახიძემ მოუგო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გახმიანდა.

მოგება მოგებას გააჩნია. ბრონშტეინმა ამ წაგების მერე თქვა:

— ამ დამარცხებამ ჭკუა მასწავლა — სეანსის დროს მეტ სიფხიზლეს ვიჩენ.

საქმე ისაა, რომ ბრონშტეინს ჩვეულებად აქვს ერთდროულ სეანსში თეთრი და შავი ფიგურებით თამაში. ხწორედ ეს ამბავი გამოიყენა პიერმა: თვითონ შავები აირჩია, თავის მეგობარს, მსახიობ ალექსანდრე სიხარულიძეს, რომელიც ხუთიოდე კაცის იქით დაჯდა, თეთრებით თამაში ურჩია. „შეთქმულებმა" ბრონშტეინი ორივე პარტიაში საკუთარი თავის წინააღმდეგ ათამაშეს. რომელ სვლასაც იგი გააკეთებდა პიერთან, იმას იმეორებდა სიხარულიძე, ხოლო ამ უკანასკნელთან ბრონშტეინის სვლას პიერი აკეთებდა. დიდოსტატი მხოლოდ მაშინ მიხვდა ეშმაკობას, როცა უკვე უიმედო პოზიცია ჰქონდა პიერთან.

### სტუმარი გაიოცა

1934 წელს თბილისში ჩატარდა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატების ტურნირი, რომელშიც ავსტრიელი ოსტატი ჰ. კმოხიც თამაშობდა. მონაწილეებს თავს ევლებოდნენ ჭადრაკის დიდი ქომაგი, ცნობილი პოეტი პაოლო იაშვილი და მისი მეგობრები.

პაოლომ გაიხარა, როცა მისმა კერპმა ვიქტორ გოგლიძემ I ადგილი დაიკავა. ამიტომ მან სიამოვნებით იკისრა თამადობა ტურნირის დამთავრების აღსანიშნავად გამართულ ბანკეტზე, რომელსაც ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე დაესწრო.

პაოლო ჩვეული მჭევრმეტყველებით ქარგავდა ყოველ სადღეგრძელოს. მის სიტყვებს კმოხს უთარგმნიდნენ. ავსტრიელი ოსტატის სადღეგრძელო პაოლომ შესანიშნავი ფრანგულით წარმოთქვა. სტუმარი კიდევ უფრო ნასიამოვნები დარჩა, როცა პოეტმა მიართვა ტორტი — საჭადრაკო დაფა, თეთრი და კაკაოსფერი კრემისგან ჩამოსხმული ფიგურებით.

თ. გიორგაძე.

## ენთუზიასტი და ენთუზიასტები

ცენტრალურ გზატკეცილზე ისეთი მოძრაობა იყო, რომ ველოსიპედისტი კი არა, გამოცდილი სლალომისტი ვერ გადაურჩებოდა სხვადასხვა მიმართულებით მქროლავი ავტომანქანების ქვეშ მოყოლის „ცდუნებას". ამ საკითხზე წინადღით გულდასმით იმსჯელეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა, მსაჯთა კოლეგიის ხელმძღვანელებმა და ადგილობრივი ავტოინსპექციის მუშაკებმა. ვინაიდან საკვანძო გზის მთლიანად ჩაკეტვა შეუძლებელი იყო, გადაწყდა რბოლის დღეებში განსაკუთრებული გულისყური და სიფხიზლე გამოეჩინათ დისტანციის უფროსს, მსაჯებსა და ავტოინსპექციის წარმომადგენლებს.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ველოსპორტში ამ მხრივ უნაკლოდ ჩატარდა. ყველანი თავიანთ ადგილებზე იყვნენ, გულდასმით ამოწმებდნენ ველოსიპედისტთა გადაადგილებას ტრასის ცალკეულ უბნებზე და შეჯიბრებაც შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით სამტრედიელ ორგანიზატორებსაც, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა შეჯიბრების მონაწილეებს „მუშაობის" ნორმალური პირობები ჰქონოდათ.

...რბოლებში 15 გუნდი გამოვიდა. აქ იყვნენ მსგავს ასპარეზობათა ვეტერანებიც (აფხაზეთი, აჭარა, ზუგდიდი), დებიუტანტებიც (სიღნაღი, ჩოხატაური, ხობი) და ისინიც, ვინც ნელ-ნელა იმაღლებს ოსტატობას, იძენს გამოცდილებას, რათა ერთ მშვენიერ დღეს ფავორიტთა ადგილი დაიკავოს.

შეჯიბრების მონაწილეთა კარგ მომზადებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ რამდენიმე ველოსიპედისტმა ახალი კლასიფიკაციით ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივები შეასრულა. გამოვლინდნენ ნიჭიერი ახალგაზრდებიც, რომლებსაც, მართალია, ჯერჯერობით არ ჰყოფნით გამოცდილება, მაგრამ ამ ნაკლს კარგი ფიზიკური მომზადებისა და მონდომების ხარჯზე ინაზღაურებენ. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ სიღნაღის გუნდი. იგი ასპარეზობაში მხოლოდ IX ადგილზე გავიდა, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კარგია. მთავარი კი ისაა, რომ ველოსპორტის დიდმა ენთუზიასტმა ჯობაშვილმა რაიონში შექმნა სპორტსმენთა მონოლითური კოლექტივი, სცუყვარა ახალგაზრდებს ველოსპორტი და შთაუნერგა რწმენა, რომ სათანადო მეცადინეობის შემდეგ უეჭველად ჩადგებიან უძლიერესთა რიგებში. აი, რა გზით უნდა განვითარდეს ველოსპორტი რაიონებში. აი, სწორედ ასეთ მწვრთნელებს უნდა დავავალოთ ახალგაზრდა თაობის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საქმე.

მაგრამ ყველა რაიონი ერთნაირი მონდომებითა და გულისყურით არ იბრძვის ველოსპორტის განვითარებისთვის. ზოგან სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის ყველა პირობა არსებობს, მაგრამ პროგრესი მეტად უმნიშვნელოა და უკმარი. გაცილებით მეტი წარმატების მოპოვება შეუძლია ამ დარგში, მაგალითად, მახარაძის რაიონს. სამწუხაროდ, ამ რაიონის ველოსიპედისტები ეპიზოდურად მონაწილეობენ ტურნირებში და, ცხადია, წინსვლაც შეუმჩნეველია. იგივე შეიძლება ითქვას თელავზე, ტყიბულზე და ა. შ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა აფხაზეთის კარგად მომზადებულმა კოლექტივმა დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ აჭარის ველოსიპედისტები. ზუგდიდისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ III ადგილი წილად ხვდათ ზუგდიდელებს, რომლებსაც უკეთესი დრო აღმოაჩნდათ ქალთა გუნდურ რბოლაში (ეს პუნქტი დებულებაში გათვალისწინებული იყო).

ნ. ახვლედიანი.

• • •

გთავაზობთ პირად პირველობაში გამარჯვებულთა და სხვა პრიზიორთა ტექნიკურ შედეგებს:

**ინდივიდუალური რბოლა.** ვაჟები (20 კმ). 1. ა. ჯღარკავა (აფხაზეთი) — 28.02; ქალები (15 კმ). 1. ვ. კაპუსტინა (აფხაზეთი) — 26.03; მოზარდები (20 კმ). 1. ჯ. ბაქრაძე (გარდაბანი) — 28.15.

**გუნდური რბოლა.** ვაჟები (50 კმ). 1. აჭარა (ე. მელკოვი, ი. ხლისტუნოვი, ა. შკოლა) — 1:04.15, 2. აფხაზეთი, 3. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; ქალები (20 კმ). 1. აფხაზეთი (ვ. კაპუსტინა, ვ. მოვა) — 30.05, 2. ზუგდიდი, 3. აჭარა; მოზარდები (50 კმ). 1. გარდაბანი (ა. მიხინი, მ. ხულორდავა, ჯ. ბაქრაძე) — 1:06.20, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა.

**ჯგუფური რბოლა.** ვაჟები (50 კმ). 1. ო. ტულუში (სას.-სამ. ინსტიტუტი), 2. გ. ასანიძე (სამხრეთ ოსეთი), 3. ე. მელკოვი (აჭარა); ქალები (25 კმ). 1. ვ. კაპუსტინა (აფხაზეთი), 2. ლ. ხრიავინა (ზუგდიდი), 3. ო. ჩერნაია (სას.-სამ. ინსტიტუტი); მოზარდები (50 კმ). 1. ვ. ოსიისკი (აფხაზეთი), 2. ჯ. ბაქრაძე (გარდაბანი), 3. ვ. შკოლა (აჭარა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ბულგარეთში გაიმართება ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი. სხედან (მარცხნიდან) — ვ. ივანოვი, ვ. ასტანინი, ო. ანტროპოვი, ე. ლაპინსკი, ვ. პუტიატოვი, ი. სტარუნსი; დგანან — ვ. პატკინი, პ. რაიგი, ლ. ზაიკო, ვ. დოშანინი, ბ. ტერეშჩუკი, ვ. კრავჩენკო.

ვ. უნ და-ხინის ფოტო (საკდესი).



# ვინ არის მსოფლიოში პირველი ჩოგანი?

ვინ შეიძლება დღეს ჩაითვალოს მსოფლიოში უძლიერეს ჩოგბურთელად? ამ შეკითხვას იძლევა იუპის სააგენტოს კორესპონდენტი ბ. სტიუარტი ფორესტ-ჰილიდან გადმოცემულ რეპორტაჟში (იქ ამ დღეებში დამთავრდა აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში).

ეს, რა თქმა უნდა, ავსტრალიელი იქნება, — წერს სტიუარტი. — მაგრამ შეიძლება თუ არა პირველ ჩოგნად ჩაითვალოს ლეივერი, რომელიც ყველაზე მეტ ფულად პრიზს იგებს, მაგრამ ჯერ არც ერთ მნიშვნელოვან ტურნირში არ მოუპოვებია გამარჯვება?

ან იქნებ ეს ჯ. ნიუკომბია, რომელმაც 26 წლის ასაკში უკვე ორჯერ გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირში და ბრწყინვალე მომავალი აქვს?

იქნებ ესაა 35 წლის კ. როზუოლი, რომელიც პრიზებით მხოლოდ ლეივერს ჩამორჩება და რომელმაც ეს-ესაა გაიმარჯვა შეერთებული შტატების ჩემპიონატში?

როზუოლს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის სახელი დაისაკუთროს. ფორესტ-ჰილში მან დაამარცხა ნიუკომბი, რომელთანაც ამას წინათ წააგო უიმბლდონში. ამ შეხვედრაში როზუოლმა ბრწყინვალე ტაქტიკური ალღო გამოავლინა. შემდეგ, მეორე ავსტრალიელთან, 25 წლის ტ. როჩთან შეხვედრაში იგი ისე თამაშობდა, რომ ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა თავისი უპირატესობა (იგი მარცხენა ხელით თამაშობს).

როზუოლისთვის გამარჯვების გზა იოლი როდი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მხოლოდ ორი ხელი დათმო. ნიუკომბთან შეხვედრაში მას არც ერთი გეიმი არ წაუგია თავისი მიწოდებით, თუმცა სპეციალისტები ამტკიცებენ, ეს მიწოდება ერთადერთია, რაც როზუოლს უჭირსო.

როჩთან თამაშის დროს როზუოლი მეტოქეს ბადესთან არ უშვებდა. იგი ბურთს უკანა ხაზისკენ გზავნიდა მეტოქის მიწოდების შემდეგ და თვითონ გადიოდა ბადესთან. მისი არც თუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმები როჩს აიძულებდა მოედნის სიღრმეში გადაენაცვლებინა.

როჩი მოხვდა სიტუაციაში, რომლის მსხვერპლიც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი გამხდარა. ისინი არასგზით არ ისურვებდნენ როზუოლთან თამაშს...

წლეულს როზუოლმა მონაწილეობა ვერ მიიღო ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატებში. მან მსოფლიოს ყველა უძლიერესი მოთამაშე დაამარცხა უიმბლდონის ტურნირში, მაგრამ შემდეგ ფინალში ნიუკომბთან წააგო. აშშ-ს ჩემპიონატში როზუოლმა დამაჯერებელი რევანში აიღო.

რაც შეეხება ქალებს, ეჭვი არ არის, რომ მათ შორის უძლიერესია როზუოლის თანამემამულე მ. სმით-კურტი. მან მოიპოვა ავსტრალიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონობა და გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირში.

## ფეხბურთი
## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი. ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა „ლიდსმა" პირველი მარცხი იწვნია და ისიც ანგარიშით 0:3. ლიდერს მოუგო „სტოკ-სიტიმ". მიუხედავად ამისა, „ლიდსი" 13 ქულით მაინც წინაა. 12 ქულით II ადგილზეა „მანჩესტერ სიტი". 11-11 ქულა აქვთ „კრისტალ პელისს" და „არსენალს".

იუგოსლავია. 9 ქულით 10 შესაძლებლიდან გათამაშებას ლიდერობს „რადნიჩკი". მას ქულით ჩამორჩება ბელგრადის „პარტიზანი".

ესპანეთი. დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშება. I ტურში ყურადღების ცენტრში იყო მადრიდის „რეალისა" და „ვალენსიის" შეხვედრა. გაიმარჯვა „რეალმა" — 2:0.

ბელგია. 2 ტურში 2 გამარჯვება მოიპოვა ბელგიის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა „ანდერლეხტმა". შარშან „ანდერლეხტმა" ჩემპიონობაც დათმო და თასიც, ამიტომ, ეტყობა, ახალ გათამაშებაში აპირებს რევანშის აღებას.

*კაპიტალისტურ სამყაროში*

# მართლა ძალიან უყვარდა ველოსიპედი?

„დანიელმა ველოსიპედისტმა გ. ნილსენმა გადაწყვიტა რისკი გაეწია და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მას ძალიან უყვარდა ველოსიპედი, — კოპენჰაგენიდან იტყობინება იუპის კორესპონდენტი პ. ანდრესენი. — საერთაშორისო კლასის მრბოლელმა, 27 წლის სპორტსმენმა არად ჩააგდო ექიმებისა და გუნდის სხვა წევრთა რჩევა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა შეენარჩუნებინა დანიის ჩემპიონის ტიტული 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში. სულ 17 კილომეტრის გავლის შემდეგ ნილსენმა უცებ იგრძნო, რომ ძალა ეცლებოდა და ტრასა მიატოვა. რამდენიმე საათის შემდეგ იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა გულის დამბლით".

ანდრესენი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნილსენი გადაღლილობამ დაღუპა. იგი იძლევა შეკითხვას: „შეიძლება თუ არა სრულიად ჯანსაღი სპორტსმენი იმდენად დაიქანცოს, რომ ამან დაღუპვის კარამდე მიიყვანოს?"

მაგრამ აი, რა უთხრა თავად გერჰარდმა ამხანაგებს რბოლის დაწყების წინ, რომელიც მისთვის ასე ტრაგიკულად დამთავრდა: „დღეს რატომღაც კარგად ვერა ვარ, მაგრამ პირველ 50 კილომეტრზე რაიმეს მივიღებ, დანარჩენი კი თქვენზე იყოს".

1960 წლის ოლიმპიური თამაშების დროს „რაიმეს" იმედით ჩაება ასეთივე 100-კილომეტრიან გუნდურ რბოლაში მეორე ცნობილი დანიელი ველოსიპედისტი კ. ენემარკიც, რომლისთვისაც ოქროს მედლისთვის ბრძოლა აკრძალული სტიმულატორების იმედით ასევე ტრაგიკულად დასრულდა. იგი ფინიშამდე ვერ მივიდა და რამდენიმე საათის შემდეგ რომის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საკდესის კორესპონდენტმა სსრ კავშირის ველოსიპედისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ვ. ბახვალოვს სთხოვა აზრი გამოეთქვა ნილსენის დაღუპვის მიზეზებზე. „ის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების სპორტსმენები სხვადასხვა აკრძალულ სტიმულატორს იღებენ, ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, — თქვა ბახვალოვმა. — ნაკლებად ცნობილ პროფესიონალებსა და მოყვარულ მრბოლელებს სურთ რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ წარმატებას და სხვადასხვა ფირმისგან მიიღონ ჰონორარი მათი საქონლის რეკლამისთვის. ამიტომ ისინი სახიფათო ექსპერიმენტებსაც არ ერიდებიან, რაც ხშირად უბედურებით მთავრდება.

1967 წელს ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გადაწყვიტა აეკრძალა სახიფათო სტიმულატორების გამოყენება, რასაც დიდი ზიანი მოაქვს სპორტსმენთა ჯანმრთელობისთვის და ხელს უშლის პატიოსნურ სპორტულ ბრძოლასაც. ეს ღონისძიება ეფექტური გამოდგა, — თქვა ბახვალოვმა. — იგი დაეხმარა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებს, რომლებიც დოპინგს არ იყენებენ. ახლა მათ საშუალება აქვთ თანაბარი ძალით იბრძოლონ მსოფლიო ჩემპიონატებში და დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, სადაც პირველი სამი პრიზიორი აუცილებლად მოწმდება დოპინგის გამოყენების თვალსაზრისით.

მარტო ბოლო მსოფლიო პირველობაში, მაგალითად, სსრ კავშირის ველოსიპედისტებმა 11 ჯილდო მოიპოვეს. მათ შორის, ოქროს 4 მედალი იყო. ლესტერში გათამაშებული მედლების საერთო რიცხვის ნახევარი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს ხვდათ".

რაც შეეხება იუპის კორესპონდენტის ანდრესენის შეკითხვას, შეიძლება თუ არა ჯანმრთელი სპორტსმენი შეჯიბრების დროს გადაღლილობით დაიღუპოსო, მასზე პასუხს იძლევა დანიის სპორტის ასოციაციის ექიმი ო. ჰალსკოვი: „სრულიად ჯანსაღი ადამიანი არ შეიძლება ისე დაიქანცოს, რომ ამით დაიღუპოს. შეჯიბრების დროს სპორტსმენები იღუპებიან იმის გამო, რომ იმაზე მეტ სტიმულატორს იღებენ, ვიდრე ეს დასაშვებია, ვიდრე მათი გული გაუძლებს".

ასე რომ, გერჰარდ ნილსენი მოკლა საწამლავმა და არა ველოსიპედის სიყვარულმა. იგი დაღუპა პროფესიული სპორტის სასტიკმა კანონებმა (რაც კაპიტალისტურ სამყაროში მოყვარულ სპორტსმენთა წრეშიც ვრცელდება). ეს კანონები სპორტსმენს აიძულებენ სიცოცხლე გაწიროს წარმატების, ფულის გულისთვის.

ა. პერეპელიცა.

# მოგების საზიანოდ

3 სექტემბრის საღამომ ბევრ ავსტრიელ სპორტის მოყვარულს გაუტეხა გული. ვენელ გულშემატკივართა კერპი, ევროპის ჩემპიონი მეორე ქვესაშუალო წონის (67 კგ-მდე) პროფესიონალ მოკრივეთა შორის, 23 წლის ჰ. ორსოლიჩი, რომელსაც ადგილობრივი სპორტული პრესა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს უწინასწარმეტყველებდა, ჩიკაგოელ ზანგ მოკრივე ჯ. პერკინსთან შეხვედრისას უკვე მეოთხე რაუნდში ღრმა ნოკაუტში აღმოჩნდა.

ეს შეხვედრა მოაწყვეს ავსტრიელი მოკრივის მენეჯერებმა და ვენის უდიდესი სპორტული სასახლის „შტადტ-ჰალეს" ადმინისტრაციამ. მათი მიზანი იყო, ვენა ევროპის, უკეთეს შემთხვევაში კი მსოფლიო პროფესიული კრივის ერთ-ერთ ცენტრად ექციათ. თავისთავად ცხადია, ამას მათთვის დიდი მოგებაც უნდა მოეტანა.

მიზნის მისაღწევად გამოიყენეს ორსოლიჩი — ავსტრიის საუკეთესო და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე. ორსოლიჩმა პროფესიული მოკრივის კარიერა 1965 წლიდან დაიწყო. მან 30 ბრძოლა ჩაატარა და აქედან 27 მოიგო (19 — ნოკაუტით). ამ ხნის მანძილზე იგი სულ ორჯერ დამარცხდა (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა).

1970 წლის იანვარსა და აპრილში ავსტრიელმა ორჯერ დაიცვა თავისი ტიტული კ. კლიაინთან (გფრ) და კ. ბოსისთან (იტალია) შეხვედრებში. აი, სწორედ ამ წარმატებების შემდეგ მიიღეს ზემოხსენებული გადაწყვეტილება. ავსტრიელებმა უკვე ზაფხულში დადეს ხელშეკრულება, რომ 20 ნოემბერს ვენაში გამართულიყო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე ამ ტიტულის მფლობელის, მექსიკელი ხ. ნაპოლესის წინააღმდეგ.

გადაწყდა ორსოლიჩისთვის ბოლო გამოცდა მოეწყოთ. ვენაში მოიწვიეს 33 წლის პერკინსი, რომელმაც ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი პირველ ქვესაშუალო წონაში. მის ანგარიშზეა 80 ბრძოლა, მათ რიცხვში, 62 გამარჯვება.

3 სექტემბრის შეხვედრამ ცივი წყალი გადაასხა ევროპის ჩემპიონის გულშემატკივართა ფანტაზიას. მოკრივეთა კლასში სხვაობა შეხვედრის დაწყებისთანავე აშკარა გახდა. პერკინსი თავისუფლად მოქმედებდა, მისი მეტოქე კი რინგზე გაფითრებული და დაძაბული გავიდა. 9000 მაყურებლის მხარდაჭერამ და შეძახილებმა ვერ ჩააყენა იგი ნორმალურ კალაპოტში. პერკინსი მისთვის დამახასიათებელი, დახვეწილი მანერით იბრძოდა და იოლად იგერიებდა მეტოქის იერიშებს მარცხენა ხელით პირდაპირი შემხვედრი დარტყმებით. მეოთხე რაუნდის დასაწყისში ავსტრიელმა გადაწყვიტა ბრძოლის მსვლელობა შეეცვალა და გამოიყენა თავისი საყვარელი ილეთი — ძლიერი დარტყმების სერია საშუალო და ახლო დისტანციებიდან.

მაგრამ ამერიკელი მარჯვედ არიდებდა თავს ძლიერ დარტყმებს და ზუსტად გადადიოდა კონტრიერიშზე. ამით მან შეარყია მეტოქის დაცვა. პერკინსმა ორსოლიჩის ხელთათმანებს შორის თითქმის შეუმჩნეველი „ხვრელი" შენიშნა და ნოკაუტში ამოსცხო მეტოქეს. ეს უკანასკნელი მოცელილივით წაიქცა. ევროპის ჩემპიონი უგონოდ იყო, როცა სეკუნდანტმა და მწვრთნელმა თავის კუთხეში გადაიყვანეს. იქ იგი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა გონს.

მეორე დღეს სპორტული კომენტატორები წერდნენ, რომ ახალგაზრდა ავსტრიელ მოკრივეს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საერთაშორისო კლასისთვის. ხელშეკრულება ორსოლიჩისა და ნაპოლესის შეხვედრის თაობაზე დაირღვა ავსტრიელთა ინიციატივით. მთავარი ისაა, რომ მატჩის ორგანიზატორები დანანებით ანგარიშობენ, რა ზარალი მოუტანა მათ მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლის ჩაშლამ.

ვ. სოლოვიოვი.

ვენა.



◆ ზიგენი, 19 სექტემბერი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის IV ტურში გამართული შეხვედრების შედეგები ჯერჯერობით ასეთია: ესპანეთი — რუმინეთი 1,5:1,5 (1 გადადებული პარტია), არგენტინა — გდრ 2:1 (1), აშშ — კანადა 1,5:0,5 (2), ბულგარეთი — უნგრეთი 1,5:0,5 (2), იუგოსლავია — გფრ 1,5:0,5 (2). II-III ადგილებს იყოფენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის გუნდები — 8,5-8,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია. ისინი ლიდერს — საბჭოთა ნაკრებს ჯერჯერობით ქულანახევრით ჩამორჩებიან.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ფეხბურთი. ასკ-ს სტადიონი. დღეს. საქართველოს პირველობა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ენგური" (ზუგდიდი). დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ‹6› უე 10564